საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-10/1763
19/02/2024

1763-15-10-2-202402191215

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს
ბატონ კარლო კაციტაძეს

წინადადება

მსჯავრდებულ [redacted] მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე დაწყებული გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო კარლო,

2024 წლის 16 იანვარს, სახალხო დამცველის რწმუნებული, საგამონაკლისო წესით, გაეცნო სისხლის სამართლის [redacted] საქმეს, რომელიც შეეხებოდა 2023 წლის [redacted] იანვრის პერიოდში, მსჯავრდებულ [redacted] მიმართ, N6 პენიტენციურ დაწესებულებაში, განხორციელებული შესაძლო დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტს.

ნიშანდობლივია, რომ ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო [redacted] მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ სახალხო დამცველის წინადადება,[1] რომელიც სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გაიზიარა და ფაქტზე გამოძიება დაიწყო.[2]

[1] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 23 მარტის N 15-10/2974 წინადადება.
[2] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 07 აპრილის SIS 8 23 00005900 წერილი.

პირველ რიგში, მადლობას ვუხდით სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, რომ მოგვეცა საქმის მასალებზე საგამონაკლისო დაშვება და სახალხო დამცველის მანდატის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობა, მეორე რიგში კი წარმოგიდგენთ გამოძიების ეფექტიანობის მიმართულებით არსებული ხარვეზების შესახებ ინფორმაციას. **მოცემული სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლით ირკვევა, რომ საქმეზე ჩატარებული არ არის რიგი საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა დროული და ზედმიწევნითი ჩატარება მნიშვნელოვანი იქნება საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიღების მიზნით.**

სამართლებრივი დასაბუთება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში - „კონვენცია") მე-3 მუხლის თანახმად: „ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა, ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია." მაშინ, როდესაც მოპყრობა აღწევს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, ქმედება გადადის აბსოლუტურად აკრძალულ სფეროში, რომელსაც გამონაკლისი არ გააჩნია.[3]

მოგეხსენებათ, კონვენციით გაცხადებულ უფლებებს მოქმედებაზე პრეტენზია რომ გააჩნდეთ, საჭიროა მათი პრაქტიკული და ეფექტიანი დაცვა. აღნიშნული სახელმწიფოებს აკისრებს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ვალდებულებებს. ნეგატიური ვალდებულება მოითხოვს სახელმწიფოს წარმომადგენლებისგან მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის აკრძალვას. რაც შეეხება პოზიტიურ ვალდებულებას, ის შესაძლოა დაიყოს ორ კატეგორიად: ა) მოთხოვნა, რომ სამართლებრივმა სისტემამ უზრუნველყოს პირთა დაცვა თავდასხმისგან; ბ) პროცედურული ვალდებულება, რომელშიც იგულისხმება დაცვის სამართლებრივი საშუალებების უზრუნველყოფა.

კონვენციის მე-3 მუხლი სავალდებულოდ ითხოვს ქმედითი გამოძიების ჩატარებას. ეს მუხლი თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე განსაკუთრებით მაღალ თამასას უწესებს სახელმწიფოს არა მხოლოდ მატერიალური ასპექტით, არამედ პროცედურული კუთხითაც.[4]

გამოძიება უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ ყველა ძალისხმევა იყოს გამოყენებული, რათა მოხდეს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ლეგალური აკრძალვა, მისი ფუნდამენტური მნიშვნელობის მიუხედავად, პრაქტიკაში არაეფექტიანი იქნებოდა და ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელს გახდიდა სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან, მათ

---

[3] იქვე.

[4] Guide on Article 3 of the European Convention on Human Rights, 2022, 6-7, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3YVth05 > [13.02.2024].

კონტროლქვეშ მყოფ პირთა უფლებების დარღვევას, თითქმის სრული დაუსჯელობის პირობებში.[5]

ხარვეზიანი გამოძიების ჩატარებით, ვერ ჩაითვლება, რომ სახელმწიფომ აწარმოა ქმედითი გამოძიება. ხოლო რა ჩაითვლება ხარვეზიან გამოძიებად, ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით უნდა დადგინდეს. ამის შესამოწმებლად კი ყურადღება ექცევა იმ კრიტერიუმებს, რომლებიც აუცილებელი წინაპირობაა ქმედითი გამოძიებისთვის. ესენია:[6]

1) ზედმიწევნითობა; 2) დროულობა; 3) დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; 4) დაზარალებულისთვის გამოძიება ხელმისაწვდომი უნდა იყოს (მისი ლეგიტიმური ინტერესის დაკმაყოფილების ფარგლებში); 5) გამოძიება საკმარისად უნდა ექვემდებარებოდეს საზოგადოების მხრიდან კონტროლს (გამჭვირვალე უნდა იყოს).

ზედმიწევნითობაში იგულისხმება, რომ გამოძიება უნდა ჩატარდეს ყოველმხრივ და შეკრებილი უნდა იყოს ყველა რელევანტური მტკიცებულება. როცა გამოძიების აშკარა ხაზი არ არის დაცული, ბუნებრივია, იკლებს იმის შესაძლებლობაც, რომ საქმეზე დადგინდეს გარემოებები და გამოვლინდეს დამნაშავე პირი. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული სტანდარტი არ მოითხოვს საგამოძიებო ორგანოებისგან არაგონივრულ და მათი შესაძლებლობის მიღმა ღონისძიებებს.

დროულ გამოძიებას ორმხრივი დატვირთვა აქვს: ერთი მხრივ, ხელისუფლების დროული რეაგირება მნიშვნელოვანია საზოგადოებაში კანონის უზენაესობისადმი ნდობის გასამყარებლად, მეორე მხრივ, აღნიშნულს მეტწილად არსებითი მნიშვნელობა აქვს მტკიცებულებათა მოპოვებისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის თვალსაზრისით.

მოპყრობა, რომელსაც დაექვემდებარა მსჯავრდებული

სახალხო დამცველის 2023 წლის 23 მარტის N15-10/2974 წინადადების თანახმად, მოცემული საქმის შესწავლით დადგინდა, რომ **5 დღის განმავლობაში მსჯავრდებულს საკვები გადაეცა სამჯერ,** პირველად საკვები მას გადაეცა 2023 წლის 07 იანვარს - მხოლოდ სადილი, მეორედ მას საკვები გადასცეს 2023 წლის 08 იანვარს - მხოლოდ საუზმე, ხოლო მესამედ - 2023 წლის 09 იანვარს - საუზმე.

ამდენად, **5 დღის განმავლობაში პატიმარს მიყოლებით საკვები არ მიუღია ორი დღის განმავლობაში, ხოლო მე-3, მე-4 და მე-5 დღეს სამჯერადი კვების ნაცვლად, მან მიიღო მხოლოდ ერთი კვება.** 04 იანვრის ჩანაწერების არ არსებობის მიზეზით, ვერ დადგინდა, ამ

---

[5] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Assenov and others v. Bulgaria, №24760/94, §102, 28/10/1998.

[6] Assenov and Others v. Bulgaria, 1998, § 102 and El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia [GC], 2012, § 182; Guide on Article 3 of European Convention on Human Rights, 2022, 27-31, ხელმისაწვდომია: <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Guide_Art_3_ENG> [13.02.2024].

დღეს მიიღო თუ არა საკვები მსჯავრდებულმა ან ხომ არ მომხდარა პატიმრის მიმართ სხვა უკანონო ქმედებებიც.

ვიდეო ჩანაწერების დათვალიერებით გამოვლინდა, რომ საკვების დარიგების ყველა ეპიზოდში პატიმარი იყო მწოლიარე პოზიციაში და სავარაუდოდ ეძინა, ხოლო როდესაც მის საკანთან მიდიოდა N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი და სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმარი, უმეტეს შემთხვევაში, **საკნის სარკმელი იღებოდა მხოლოდ 3-4 წამის განმავლობაში, იყო შემთხვევები როდესაც სარკმელი მხოლოდ 1 წამის განმავლობაში იყო ღია. ვიდეო ჩანაწერიდანაც ჩანს, რომ ასეთ მოკლე პერიოდში, არა თუ პატიმრისგან პასუხის მიღება, არამედ მისთვის კითხვის დასმაც ვერ ესწრებოდა, სურდა თუ არა საკვების მიღება, ზედმეტია საუბარი მისი შეფხიზლების მცდელობაზე.**

ხაზგასასმელია ის ტენდენცია, რაც ვიდეო ჩანაწერების დათვალიერების შედეგად გამოიხატა, კერძოდ, თუკი სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმარი დეესკალაციის კორიდორიდან პატიმრის საკნის ფლიგელში შედიოდა ხელცარიელი, ასეთი შემთხვევები ყოველთვის მთავრდებოდა ერთი შედეგით - მსჯავრდებულს კვება არ გადაეცემოდა. ხოლო, როდესაც საჭმლის ურიკადან სამეურნეო პატიმარი იღებდა საკვებს (სამი ასეთი შემთხვევა იყო) და ისე გადადიოდა მსჯავრდებულის საკანთან, ყველა ასეთ დროს საკვების გადაცემა ხდებოდა მსჯავრდებულისთვის.

ამდენად, ჩნდებოდა იმის განცდა, რომ საკანთან მისვლამდე, წინასწარვე შეთანხმებულად იცოდნენ N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელმა და სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულმა პატიმარმა, გადასცემდნენ თუ არა საკვებს პატიმარს.

ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც სამეურნეო პატიმარი საკვებით შევიდა პატიმრის საკანთან და პატიმარს ის არ გადაეცა, იყო შემთხვევა (08 იანვრის სადილის კვება), როდესაც N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი და სამეურნეო პატიმარი ერთმანეთში საუბრობდნენ და სხეულის მოძრაობიდან ჩანდა, რომ თანამშრომელმა მას, გაურკვეველი მიზეზით, მოსთხოვა, საკვები შეენახა საკნის გარეთ განთავსებულ კარადაში და მხოლოდ ამის შემდგომ გახსნა მან საკნის სარკმელი, რაც იმით დასრულდა, რომ მსჯავრდებულს არ გადასცემია საკვები.

გამოსაყოფია 06 იანვრის ვახშმის ეპიზოდი, როდესაც მსჯავრდებული ფეხის ხმაზე უცბად ფხიზლდება, სწრაფი მოძრაობით დგება, თუმცა ვინაიდან სარკმელი 3 წამის განმავლობაში იყო მხოლოდ ღია, ვერ ასწრებს კარებთან მისვლას. თუმცა, ის იწყებს კარებზე კაკუნს და ვიდეო ჩანაწერის თანახმად, როდესაც ის ამას აკეთებს, N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი და სამეურნეო პატიმარი ჯერ კიდევ მის ფლიგელში არიან და ხმასაც გაიგებდნენ. თუმცა ამის მიუხედავად, ისინი უკან არ ბრუნდებიან და არც საკვებს აწვდიან.

სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის შედეგები და ანალიზი

სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გამოძიების ფარგლებში ჩატარებულია არაერთი საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, გამოიკითხნენ მსჯავრდებულ [redacted] შემხებლობაში მყოფი გარკვეული პირები, თავად მსჯავრდებული, ასევე დაარქივდა რელევანტური ვიდეომასალა და სხვ.

თუმცა, შესწავლის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ საგამოძიებო ორგანოს არ ჰქონდა დაცული გამოძიებისთვის საჭირო ძირითადი ხაზი, რაც სამ ძირითად მიმართულებაში ვლინდება:

1. საგამოძიებო მოქმედებებში არ ვხვდებით იმ პატიმრის/პატიმრების გამოკითხვის ოქმებს, რომლებიც ირიცხებოდნენ სამეურნეო ნაწილში და გამოძიებისთვის საინტერესო პერიოდში პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთან ერთად ახორციელებდნენ საკვების ჩამოტარებას მსჯავრდებულებისთვის (მათ შორის [redacted]);

2. ამასთან, არ არის აღქმადი, გამოძიებით განხორციელდა თუ არა იდენტიფიცირება და შემდგომ გამოკითხვა ყველა იმ ფიგურანტი თანამშრომლის, ვინც სამეურნეო ნაწილში დასაქმებულ პატიმართან ერთად ახორციელებდა ჩამოვლას საკვების დარიგებისას;

3. ჩატარებული გამოკითხვის ოქმები და მოწმეებისთვის დასმული კითხვები არ არის ზედმიწევნითი, დეტალური და კრიტიკული. მოწმეებს არ აქვთ დასმული მნიშვნელოვანი კითხვები, რომლებითაც შემდგომ შესაძლებელი გახდებოდა არსებული და მოპოვებული ინფორმაციის შეჯერება, მათ შორის წინააღმდეგობის ან თანხვედრის დადგენა, შემდგომი საგამოძიებო მოქმედებების სწორი დაგეგმვა (იგულისხმება, რომ არ არის ვიდეოჩანაწერებსა და სახალხო დამცველის წინადადებაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კითხვების ამომწურავად დასმა ან ვიდეოჩანაწერების დემონსტრირებით შემთხვევის ფაქტობრივი ელემენტებით სურათის აღდგენა).

გარდა, იმისა, რომ **გამოკითხულ პირთა შორის არ ვხვდებით სამეურნეო სამუშაოებში ჩართულ პატიმარს/პატიმრებს,** ამასთან, საგამოძიებო მოქმედებები იმგვარად არის ჩატარებული, რომ ღიად რჩება ის კითხვაც, არის თუ არა დადგენილი ხსენებული პატიმრის/პატიმრების ვინაობა მაინც (გამოთხოვილია თუ არა გამოძიებისთვის საინტერესო პერიოდში საკვების ჩამომტარებელი პატიმრის/პატიმრების მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულებიდან).

იმავე პრობლემას ვაწყდებით იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც საკვების ჩამოტარებისას თან ახლდნენ სამეურნეო ნაწილში ჩარიცხულ პატიმარს/პატიმრებს. კერძოდ, საგამოძიებო მოქმედებები ისეა ჩატარებული, რომ არ პასუხობს კითხვას, ვიდეოჩანაწერში დაფიქსირებულ სამეურნეო სამუშაოებში ჩარიცხულ პატიმართან ერთად

საკვების დარიგებისას მყოფი პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი არის თუ არა გამოკითხული, აგრეთვე გამოძიებისთვის რელევანტურ პერიოდში ყოველ ჯერზე ერთი და იგივე თანამშრომელი ახლდა საკვების დამრიგებელ პატიმარს, თუ იცვლებოდნენ ისინი (და შესაბამისად, რამდენიმე პირის გამოკითხვა უნდა ჩატარებულიყო).

გამოძიებით შესასწავლი მნიშვნელოვანი მიმართულება უკავშირდება პენიტენციური დაწესებულების მიერ გამოძიებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას და წარდგენილ ოქმებს, რომელთა მიხედვითაც, მსჯავრდებული არ შიმშილობდა, თუმცა უარს აცხადებდა საკების მიღებაზე, რის თაობაზეც დგებოდა ოქმები - ნიშანდობლივია, რომ მანამდე, საკითხის მოკვლევის ეტაპზე, N6 პენიტენციურ დაწესებულებას სახალხო დამცველის აპარატისთვის მსგავსი ინფორმაცია არ მოუწოდებია, არამედ მხოლოდ აცნობა, რომ მსჯავრდებული დასახელებულ პერიოდში არ შიმშილობდა. ამდენად, პენიტენციური დაწესებულების მიერ შემოთავაზებული ახალი ვერსია აჩენს გარკვეულ ეჭვს და გამოძიებისთვის მეტად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ვიდეოჩანაწერების დეტალურად დათვალიერება და იმ პირების კრიტიკული გამოკითხვა, ვისაც შემხებლობა ჰქონდა პატიმართან და საკვების დარიგებასთან და ამ სახით შემოწმებულიყო ზემოხსენებული საკვების მიღებაზე უარის თქმის ოქმების სინამდვილე და ავთენტურობა. ამავდროულად, უნდა დადგენილიყო ოქმების შემდგენი პირები იყვნენ თუ არა იგივე პირები, რომლებიც დაყვებოდნენ სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ პატიმარს/პატიმრებს საკვების ჩამოტარებისას.

ამ კუთხით, ხაზგასასმელია, რომ საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებს გამოკითხული ჰყავთ ასეთი ოქმის შემდგენი მხოლოდ ერთი პირი ([redacted], მაშინ, როდესაც მსგავსი ოქმები გამოძიებისთვის რელევანტურ პერიოდში სხვადასხვა თარიღში შედგენილი ჰქონდა კიდევ ორ თანამშრომელს, კერძოდ:

- 2023 წლის 6, 7 და 9 იანვრის ოქმების ავტორია - [redacted]
- 2023 წლის 5, 6 და 8 იანვრის ოქმების ავტორია - [redacted]

იმ პირობებში, როდესაც ხსენებული ოქმების სანდოობა ეჭვს აღძრავს და საპირწონედ არ გააჩნია მაგალითად, რაიმე ნომრიანი ბეჭედი, არ არის გატარებული კანცელარიის მიერ, არ ფიქსირდება შტამპი ან სხვა საშუალება, რაც მათ რეალურობაში დაარწმუნებდა ობიექტურ მესამე პირს, კიდევ უფრო მწვავე საჭიროებას იძენდა ოქმების შემდგენი ყველა პირის დროული და დეტალური გამოკითხვა. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ მომენტისთვისაც რელევანტური რჩება ხსენებული პირების გამოკითხვა.

დეტალური არ არის გამოძიებისთვის საინტერესო პერიოდში მსჯავრდებულთან შემხებლობაში მყოფი პირების გამოკითხვის ოქმები, ვინაიდან არ მომხდარა მათი ვიდეო ჩანაწერების თანხლებით გამოკითხვა, რათა მათ განემარტათ კონკრეტულ მომენტში არსებული სიტუაცია, მათი ქცევა და განხორციელებული ქმედებები.

მაგალითად:

- არ არის კითხვები დასმული იმის თაობაზე, უმეტეს შემთხვევაში, თუ რატომ არ ელოდებოდნენ პატიმრის შეფხიზლებას თანამშრომლები 3-4 წამზე უფრო მეტ ხანს. ან როდესაც გადაწყვეტდნენ, რომ უფრო დიდხანს დაეცადათ (10 წამი), ეს განსხვავება რით იხსნებოდა სხვა შემთხვევებისგან;

- ვიდეოჩანაწერების თანხლებით, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს არ შეეთავაზათ პასუხები გაეცათ კითხვაზე, თუ რომელ მომენტში ხდებოდა პატიმრისთვის საკვების შეთავაზება ან მისგან უარის მიღება;

- 2023 წლის 08 იანვრის სადილის კვების დროს, ვიდეოჩანაწერების მიხედვით, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელმა მიანიშნა ხელით სამეურნეო სამსახურში დასაქმებულ პატიმარს, რომ საკვები შეენახა [redacted] დეესკალაციის ოთახის გარეთ განთავსებულ კარადაში და მხოლოდ ამის შემდგომ გახსნა მან საკნის სარკმელი, რაც იმით დასრულდა, რომ მსჯავრდებულს არ გადასცემია საკვები - არ არის გამოკვლეული ეს მნიშვნელოვანი ეპიზოდი;

- სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ ვიდეოჩანაწერების დათვალიერების შემდგომ გამოვლენილი ტენდენცია - თუკი სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმარი დეესკალაციის კორიდორიდან პატიმრის საკნის ფლიგელში შედიოდა ხელცარიელი, ასეთი შემთხვევები ყოველთვის მთავრდებოდა ერთი შედეგით - მსჯავრდებულს კვება არ გადაეცემოდა. ხოლო, როდესაც საჭმლის ურიკადან სამეურნეო პატიმარი იღებდა საკვებს (სამი ასეთი შემთხვევა იყო) და ისე გადადიოდა მსჯავრდებულის საკანთან, ყველა ასეთ დროს საკვების გადაცემა ხდებოდა მსჯავრდებულისთვის - ბადებს იმ ეჭვს, რომ მსგავსი მოპყრობა იყო წინასწარ დაგეგმილი, რის გამოც მნიშვნელოვანი იყო გამოძიებას დაესვა კითხვა ამ მიმართულებითაც, ვინმეს დავალებით ხომ არ მოქმედებდნენ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები, უკანონო დავალება ხომ არ გაიცემოდა ხელმძღვანელი პირებისგან;

ამრიგად, აუცილებელი იყო არაერთი დეტალური და დამაზუსტებელი კითხვის დასმა მოწმეებისთვის, რომლებიც გამოიკითხნენ და განსაკუთრებით იმ მოწმეებისთვის, რომელთა გამოკითხვა ამ დრომდე ჩატარებული არ არის.

მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში განთავსებისა და ასევე, მიმდებარე კორიდორის ამსახველი ვიდეო ჩანაწერების დაარქივებისა და გამოთხოვის მიუხედავად, საქმეში არ ფიქსირდება ვიდეო ჩანაწერების დათვალიერების ოქმი/ოქმები - აღნიშნული ვიდეო ჩანაწერების დათვალიერება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გამოძიებას სწორ აღქმასა და მიმართულებას მისცემს იმის თაობაზე, თუ როგორ ხდებოდა მსჯავრდებულის საკანთან პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლისა და სამეურნეო სამუშაოებში ჩარიცხული პატიმრის მისვლა და საკვების ფორმალურად შეთავაზება იმგვარი სისწრაფით, რომ პატიმარი საკვების მიღებაზე პასუხის გაცემასაც ვერ ასწრებდა. სწორედ ხსენებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერების შედეგების მიხედვით უნდა დაგეგმილიყო შემდგომ შემხვედრი საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, მოწმეთა

გამოკითხვის ტაქტიკის განსაზღვრა. სახალხო დამცველის აპარატი არ გამორიცხავს იმის ალბათობას, რომ, შესაძლოა, გამოძიების ფარგლებში დათვალიერდა ხსენებული ჩანაწერები, თუმცა არ განხორციელდა შესაბამისი ოქმის შედგენა. თუმცა, იმ მოცემულობაში, როდესაც ხსენებულ ფაქტზე დაწყებული გამოძიებიდან გასულია 11 თვეზე მეტი, მიგვაჩნია, რომ გონივრული იქნება ოქმის შედგენა და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება სწორედ ვიდეოჩანაწერზე აღბეჭდილი ქრონოლოგიის შესაბამისად ფაქტებისა და მოტივების გამორკვევა.

დასკვნა

ამრიგად, მიგვაჩნია, რომ პრობლემურია ქმედითი გამოძიების ის ელემენტები, რომლებიც მოითხოვს გამოძიების ყოველმხრივ/ზედმიწევნით და დროულ ჩატარებას. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ეფექტიანი გამოძიების მიზნებისთვის, აუცილებელია ჩატარდეს წინადადებაში დასახელებული საგამოძიებო მოქმედებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წინადადებით, კერძოდ, საქმეზე ეფექტიანი გამოძიების წარმართვის მიზნით, აუცილებელია:

1. იმ სამეურნეო სამუშაოებში ჩარიცხული პატიმრ(ებ)ის იდენტიფიცირება და შემდგომ გამოკითხვა, რომელიც პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელს თან ახლდა გამოძიებისთვის საინტერესო პერიოდში და არიგებდა საკვებს;

2. ვიდეოჩანაწერში დაფიქსირებულ სამეურნეო სამუშაოებში ჩარიცხულ პატიმართან ერთად კვების დარიგებისას მყოფი პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის/თანამშრომლების (თუკი იცვლებოდნენ), თავდაპირველად, იდენტიფიცირება და შემდგომ უკვე მათი დეტალური გამოკითხვა;

3. [redacted] და [redacted] დეტალური გამოკითხვა;

4. გამოირიცხოს იმის ეჭვი, რეალურად განხორციელდა თუ არა 2023 წლის [redacted] იანვრის პერიოდის ამსახველი ვიდეო ჩანაწერების დეტალური დათვალიერება, რომელიც გამოძიების ფარგლებში მოპოვებული და ამოღებულია. ხოლო თუკი დათვალიერდა ხსენებული ჩანაწერები, მისი შედეგების დამაგრება განხორციელდეს გამოძიების ფარგლებში შესაბამისი ოქმით;

5. გამოძიებისთვის საინტერესო პერიოდში მსჯავრდებულთან შემხებლობაში მყოფი პირების ვიდეოჩანაწერებზე ასახული ფაქტების ქრონოლოგიის მიხედვით გამოკითხვა ან ვიდეოჩანაწერების თანხლებით ხელახლა, დამატებით გამოკითხვა, მათგან დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით, რათა დადგინდეს

ვიდეოჩანაწერში ასახული ქმედებების მოტივი, მიზნობრიობა, შესაძლო უკანონო დავალების გაცემის საკითხი და სხვ.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,
ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

.